



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19261187

თარიღი:28/04/2026

განკარგულება №46

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აიდინ მამედოვისა და მწვრთნელის ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 23 აპრილის № 154/04 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - აიდინ მამედოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ვუგარ მამედოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 200 (ორასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენის კანონიერი წარმომადგენლის და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

აიდინ მამედოვი - 400 (ოთხასი) ლარი, პ/ნ [REDACTED]. თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშზე პ/ნ [REDACTED] საბანკო ანგარიშზე:

[REDACTED];

ვუგარ მამედოვი - 200 (ორასი) ლარი, პ/ნ [REDACTED].

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ.

რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

